ეროვნული ბიბლიოთეკა

საქართველოს სსრ ფიზიკური კულტურისა და სპორტის სახელმწიფო კომიტეტისა და პროფკავშირთა რესპუბლიკური საბჭოს ორგანო

ЛЕЛО ОРГАН ГОСУДАРСТВЕННОГО КОМИТЕТА ГРУЗИНСКОЙ ССР ПО ФИЗИЧЕСКОЙ КУЛЬТУРЕ И СПОРТУ И РЕСПУБЛИКАНСКОГО СОВЕТА ПРОФСОЮЗОВ

3 თებერვალი, შაბათი, 1990 წ.
№ 23 (10 192) ● ფასი 8 კაპ.

გამოდის 1934 წლის 13 აპრილიდან

## საინფორმაციო ცნობა

# საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის პლენუმის შესახებ

31 იანვარს გაიმართა საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის პლენუმი. პლენუმზე მოწვეული იყვნენ საქართველოს კომპარტიის საოლქო, საქალაქო და რაიონული კომიტეტების პირველი მდივნები, რესპუბლიკის სამინისტროების, სახელმწიფო კომიტეტებისა და უწყებების, საქართველოს ალკკ ცენტრალური კომიტეტის ხელმძღვანელები, რომლებიც არ შედიან საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტისა და სარევიზიო კომისიის შემადგენლობაში, მეცნიერებისა და კულტურის მოღვაწენი, მასობრივი ინფორმაციის საშუალებებისა და ზოგიერთი საზოგადოებრივი ორგანიზაციის ხელმძღვანელები.

პლენუმმა განიხილა შემდეგი საკითხები:

რესპუბლიკის საზოგადოებრივ-პოლიტიკური ვითარება და საქართველოს კომპარტიის ამოცანები;

საქართველოს სსრ ეროვნული განვითარების კონცეფციის პროექტი;

საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის განცხადება საქართველოს სსრ უზენაესი საბჭოს და სახალხო დეპუტატთა ადგილობრივი საბჭოების მომავალ არჩევნებთან დაკავშირებით;

საქართველოს კომუნისტური პარტიის XXVIII ყრილობის მოწვევა.

მოხსენება ამ საკითხებზე გააკეთა საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის პირველმა მდივანმა გ. გ. გუმბარიძემ.

მოხსენების გამო გამართულ კამათში მონაწილეობდნენ საქართველოს კომპარტიის თბილისის საქალაქო კომიტეტის პირველი მდივანი ნ. მ. ლეკიშვილი, ახმეტის რაიონის ზემო ალვანის საბჭოთა მეურნეობის ბრიგადირი ნ. ა. პეტრიაშვილი, საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის მდივანი ბ. ხ. ჯიქია, ქუთაისის სახალხო დეპუტატთა საქალაქო საბჭოს აღმასკომის თავმჯდომარე თ. გ. შაშიაშვილი, საქართველოს კომპარტიის ლანჩხუთის რაიკომის პირველი მდივანი ე. ა. ბერიძე, საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის მეორე მდივანი ა. ი. პავშენცევი, საქართველოს კომპარტიის გორის საქალაქო კომიტეტის პირველი მდივანი ა. ი. კავსაძე, საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის ვიცე-პრეზიდენტი ა. მ. აფაქიძე, საქართველოს კომპარტიის აფხაზეთის საოლქო კომიტეტის პირველი მდივანი ვ. ფ. ხიშბა, საქართველოს პროფსაბჭოს თავმჯდომარე პ. პ. ჩხეიძე, საქართველოს ალკკ ცენტრალური კომიტეტის პირველი მდივანი ს. ი. გოგიბერიძე, სამხრეთ ოსეთის სახალხო დეპუტატთა საოლქო საბჭოს აღმასკომის თავმჯდომარე ა. ა. კაჩმაზოვი, საქართველოს სსრ პროკურორი ვ. ა. რაზმაძე, ჟურნალ „საქართველოს კომუნისტის" მთავარი რედაქტორი ვ. ვ. კეშელავა, საქართველოს კომპარტიის ხულოს რაიკომის პირველი მდივანი ბ. დ. შაინიძე. საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარე ნ. ა. ჩითანავა, საქართველოს კომპარტიის ახალციხის რაიკომის პირველი მდივანი თ. შ. მოსიაშვილი, თბილისის საფეიქრო-საგალანტერეო ფაბრიკის „კომკავშირელის" მქარგავი ვ. ს. ზორინა, საქართველოს სსრ სახალხო განათლების მინისტრი გ. ნ. ენუქიძე, ვ. ი. ლენინის ცენტრალური მუზეუმის თბილისის ფილიალის დირექტორი ფ. მ. მახარაძე, საქართველოს თეატრის მოღვაწეთა კავშირის გამგეობის თავმჯდომარე გ. დ. ლორთქიფანიძე.

პლენუმზე საბოლოო სიტყვა წარმოთქვა გ. გ. გუმბარიძემ.

პლენუმმა მიიღო დადგენილება რესპუბლიკაში შექმნილი საზოგადოებრივ-პოლიტიკური ვითარებისა და საქართველოს კომპარტიის ამოცანების შესახებ. დადგენილება იწონებს დებულებებს, შეფასებებსა და დასკვნებს, რომლებსაც შეიცავს მოხსენება საქართველოში შექმნილ საზოგადოებრივ-პოლიტიკურ ვითარებასთან, თბილისის 1989 წლის 9 აპრილის ამბებთან და რესპუბლიკის ცალკეულ რეგიონებში მომხდარ ეთნოკონფლიქტებთან დაკავშირებით. დადგენილებაში ნათქვამია, რომ საქართველოს კომპარტიის, მისი არჩევითი ორგანოებისა და სტრუქტურული ქვეგანაყოფების პოლიტიკური და ორგანიზატორული მუშაობა ყოველთვის როდი შეესაბამებოდა და დღესაც მთლად არ შეესაბამება საზოგადოებრივ-პოლიტიკურ პროცესებს, დინამიკურად რომ ვითარდება რესპუბლიკაში; პარტიული კომიტეტების, მათი კომისიების და აპარატის მუშაობის სტილი, საბჭოთა, სახელმწიფო, საზოგადოებრივ ორგანიზაციებთან პარტიული ორგანოების ურთიერთდამოკიდებულების ფორმები და მეთოდები სერიოზულად უნდა გადაისინჯოს.

პლენუმმა მოიწონა გამართული საყოველთაო განხილვის შედეგების მიხედვით დახვეწილი საქართველოს სსრ ეროვნული განვითარების კონცეფცია და დაავალა საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის ბიუროს ასახოს მასში პლენუმზე გამოთქმული წინადადებანი, დამატებანი და დაზუსტებანი. კონცეფციის ტექსტი გამოქვეყნდება.

პლენუმმა მოიწონა საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის განცხადება საქართველოს სსრ უზენაესი საბჭოს და სახალხო დეპუტატთა ადგილობრივი საბჭოების მომავალ არჩევნებთან დაკავშირებით, რომელიც ასევე გამოქვეყნდება.

მიღებულია გადაწყვეტილება, რომ საქართველოს კომუნისტური პარტიის XXVIII ყრილობა მოიწვიონ ვადამდე — 1990 წლის აპრილში. ყრილობის დღის წესრიგში დგას შემდეგი საკითხები:

1. საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის ანგარიში გარდაქმნის მიმდინარეობისა და რესპუბლიკის პარტიული ორგანიზაციების ამოცანების შესახებ;
2. საქართველოს კომუნისტური პარტიის სტატუსი;
3. საქართველოს კომპარტიის სარევიზიო კომისიის ანგარიში;
4. საქართველოს კომპარტიის ხელმძღვანელი ორგანოებისა და დელეგატების არჩევნები.

პლენუმმა შექმნა საქართველოს კომპარტიის XXVIII ყრილობის მოსამზადებელი კომისია.

პლენუმმა განიხილა ორგანიზაციული საკითხები.

პლენუმმა გაათავისუფლა ნ. ა. ფოფხაძე საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის მდივნისა და ბიუროს წევრის მოვალეობისაგან სხვა სამუშაოზე გადასვლის გამო.

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის ყოფილი თავმჯდომარის ო. ე. ჩერქეზიას სხვა სამუშაოზე გადასვლის გამო პლენუმმა გაათავისუფლა იგი საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის ბიუროს წევრის მოვალეობისაგან.

პლენუმმა გაათავისუფლა საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის ბიუროს წევრობის კანდიდატის მოვალეობისაგან ვ. მ. სირაძე, რომელიც გათავისუფლებულია საქართველოს პროფსაბჭოს თავმჯდომარის თანამდებობიდან პენსიაზე გასვლის გამო.

პლენუმმა გაათავისუფლა საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის ბიუროს წევრობის კანდიდატის მოვალეობისაგან ა. გ. ჩეხოევი, რომელიც გათავისუფლებულია საქართველოს კომპარტიის სამხრეთ ოსეთის საოლქო კომიტეტის პირველი მდივნის მოვალეობისაგან და გადაყვანილია სხვა სამუშაოზე. პლენუმმა გაათავისუფლა ამიერკავკასიის წითელდროშოვანი სამხედრო ოლქის ჯარების ყოფილი სარდალი გენერალ-პოლკოვნიკი ი. ნ. როდიონოვი საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის ბიუროს წევრის მოვალეობისაგან და ფარული კენჭისყრით გამოიყვანა იგი ცენტრალური კომიტეტის წევრთა შემადგენლობიდან.

პლენუმმა ცენტრალური კომიტეტის შემადგენლობაში შეიყვანა ვ. გ. გურგენიძე. იგი არჩეულია საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის მდივნად და ბიუროს წევრად.

პლენუმმა დაამტკიცა ნ. რ. საჯაია საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის ორგანიზაციულ-პარტიული და საკადრო მუშაობის განყოფილების გამგედ.

საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის აგრარული განყოფილების გამგედ პლენუმმა დაამტკიცა დ. თ. სავანელი.

პლენუმის მუშაობაში მონაწილეობდა სკკპ ცენტრალური კომიტეტის პარტიული მშენებლობისა და საკადრო მუშაობის განყოფილების სექტორის გამგე ვ. ი. რომანოვი.

# საქართველოს ეროვნული ოლიმპიური კომიტეტის მიმართვა

საქართველოს სპორტული ფედერაციების ხელმძღვანელებს — გ. ბალარჯიშვილს, გ. გამყრელიძეს, ა. გოგელიას, ო. გოგიაშვილს, ა. გოცირიძეს, ბ. გულუას გ. დგებუაძეს, ჯ. ზამბახიძეს, ზ. ზურაბაშვილს, გ. თალაკვაძეს, პ. თორდიას, ე. კანდელაკს, დ. კვაჭაძეს, დ. კილასონიას, ე. კოტიკოვს, ა. კილაძეს, ჯ. ლასარეიშვილს, ნ. ლალიძეს, ნ. მაისურაძეს, დ. მანჯგალაძეს, გ. მგელაძეს, გ. მეძმარიაშვილს, გ. მურადიანს, ა. მჭედლიშვილს, შ. პაპიძეს, ხ. რიგვავას, რ. რობაქიძეს, კ. ხალიას, ა. ხილაგაძეს, ნ. სინჯიაშვილს, ი. სულაბერიძეს, დ. სულაქველიძეს, გ. ურუშაძეს, ი. ქართველიშვილს, ი. ქევხიშვილს, ო. ქვილითაიას, ა. ღლონტს, ზ. ღუღუნიშვილს. ლ. შარაშენიძეს, პ. ჩხეიძეს, მ. წალქალამანიძეს, ო. ცომაიას, ნ. ცხაკაიას, ზ. წერეთელს, ა. წილოსანს, ი. ხარატიშვილს, ლ. ხარბედიას, ჰ. ჰიპაშვილს.

ბატონო პრეზიდენტებო! დღეს, როცა ეროვნული დამოუკიდებლობის მოპოვების გზაზე ყველა შესაძლო საშუალებების გამონახვა და გამოყენება უპირველეს ამოცანად მიგვაჩნია, საქართველოს ეროვნული ოლიმპიური კომიტეტის (რომლის წევრები თქვენც ბრძანდებით) აღმასკომი თვლის, რომ რესპუბლიკის სუვერენიტეტისათვის ძალზე მნიშვნელოვანია ჩვენი სპორტული ფედერაციების სრულიად დამოუკიდებელი ფუნქციონირება, მისი თავისუფალი ურთიერთობა საერთაშორისო სპორტულ ასოციაციებთან და მოკავშირე რესპუბლიკების სპორტულ ფედერაციებთან.

მიზანი ერთია — რესპუბლიკის სპორტული ფედერაციების გაერთიანება საერთაშორისო სპორტულ ასოციაციებში და საქართველოს ეროვნული ოლიმპიური კომიტეტის აღიარება საერთაშორისო ოლიმპიური კომიტეტის მიერ.

ამ სამართლიან მიზანს წინ ეღობება სპორტის მართვის საკავშირო ცენტრალიზებული და მბრძანებლურ-ადმინისტრაციული სტრუქტურა. სწორედ ამ სტრუქტურის შედეგია, რომ საკავშირო სპორტული ფედერაციების წესდებაში არის ასეთი პუნქტები:

„საბჭოთა სპორტული საზოგადოებრივი ინტერესები, ქვეყნის შიგნით და საზღვარგარეთ, შეუძლია წარმოადგინოს მხოლოდ ერთმა საკავშირო ფედერაციამ.

...„მისი იურისდიქცია ვრცელდება საბჭოთა კავშირის მთელ ტერიტორიაზე".

ასეთ დებულებებს ითვალისწინებს აგრეთვე საკავშირო ოლიმპიური კომიტეტის მოქმედი წესდებაც.

სწორედ ამის გამოა, რომ საერთაშორისო სპორტული ფედერაციები, ასოციაციები და საერთაშორისო ოლიმპიური კომიტეტი ვერ განიხილავენ საბჭოთა კავშირის ცალკეული რესპუბლიკების შესაბამისი ორგანიზაციების განაცხადს მათს აღიარებაზე.

საქართველოს საზოგადოებრიობა კი გადაჭრით მოითხოვს პრობლემის გადაწყვეტას, მოითხოვს ჩვენგან და თქვენგან. ჩვენი მოვალეობაა გამოვნახოთ საამისო გზები და საშუალებები.

ამიტომაც მოგმართავთ თქვენ, ბატონო პრეზიდენტებო, მოვიცალოთ, შევიკრიბოთ და განვიხილოთ საკითხის გადაჭრის შესაძლო წინადადებები. ოლიმპიური კომიტეტის აღმასკომი თავის მხრივ შემოგთავაზებთ ზოგიერთ მოსაზრებას ამასთან დაკავშირებით.

ყველაზე მოხერხებული დრო და ადგილი ჩვენი შეკრებისთვის იქნება ოთხშაბათი, 7 თებერვალი, 18 საათი, თბილისის ჩაის სახლი.

სასურველია, რომ შეხვედრას დაესწრონ სპორტულ ფედერაციათა პასუხისმგებელი მდივნები, ვიწვევთ აგრეთვე პრესისა და რადიოტელევიზიის წარმომადგენლებს.

პატივისცემით —
**ნონა გაფრინდაშვილი,**
საქართველოს ეროვნული ოლიმპიური კომიტეტის პრეზიდენტი,

**ვანო ყიფიანი,**
საქართველოს ეროვნული ოლიმპიური კომიტეტის აღმასკომის წევრი, სპორტული ფედერაციების კომისიის თავმჯდომარე.

# „დიდი ბაკურიანი"

**წლების** მანძილზე გვესმის „ბაკურიანი, ბაკურიანი"...

რას არ უწოდებენ მას: „მზისა და თოვლის სამეფოს", „თეთრ მარგალიტს", „ქართულ დავოსს"... თხილამურებით თოვლზე პირველი კვალი ჯერ კიდევ საუკუნის დამდეგს გაჩნდა. ვინ არ მოხიბლულა ბაკურიანის ქათქათა თოვლით, მცხუნვარე მზით და მთის მაცოცხლებელი ჰაერით, ვის არ უსრიალია მის ციცაბო ფერდობებზე.

ერთი სიტყვით, ბაკურიანი ყველას გვიყვარს, ყველას გვეამაყება. მაგრამ, მოდით ვიყვეთ გულახდილნი, განა ყველა ჩვენგანს გაუკეთებია რაიმე მისი კეთილდღეობისათვის, მისი ხვალინდელი დღისათვის?

მართალია, ამ ბოლო დროს მავანთა ინიციატივითა და თანადგომით გაიხსნა საქველმოქმედო ანგარიში „დიდი ბაკურიანის" განვითარების ფულად ფონდში შესატანად. უკვე გამოჩდნენ პირველი „მერცხლები" — დაწესებულებები და ცალკეული პიროვნებები, რომლებმაც გარკვეული თანხა შეიტანეს მის ანგარიშზე. დღეისათვის იქ უკვე 1.700 მანეთი ირიცხება. ცხადია, ეს ძალზე ცოტაა იმ დიდი ნაბიჯების გადასადგმელად, რასაც ჩვენ ვაპირებთ. იმედია, რომ ზამთრის სპორტის სახეობების ჭეშმარიტი მოყვარულები, კერძოდ, ბაკურიანის ტრფიალნი, შემდგომშიაც არ დააკლებენ ზრუნვას ამ შესანიშნავ მაღალმთიან სამთო კურორტსა და ზამთრის სპორტის სახეობათა ცენტრს, რომელთანაც თავისი ბუნებრივი პირობებით, მასთან, ახლოს ვერ მოვა ბევრი საზამთრო სპორტის ცენტრი, მათ შორის უკანასკნელ დროს საქვოდ „პოპულარული" კრასნაია პოლიანა, სოჭის მახლობლად რომ „აღმოაჩინეს" თხილამურების სპეციალისტებმა.

ამას წინათ ბაკურიანში, როგორც ვიუწყებოდით, გაიმართა დიდი თათბირი, რომელზეც ბევრი რამ საგულისხმო ითქვა ბაკურიანის ხვალინდელ დღეზე, — დაისახა კონკრეტული ღონისძიებანი მისი კეთილმოწყობა-განაშენიანებისათვის.

იმედია, რომ ნათქვამს მალე პრაქტიკული ნაბიჯები მოჰყვება, „ბაკურიანის ყულაბა" (ანგარიში 000700545 — ბინსოცბანკის რესპუბლიკური ბანკის საოპერაციო სამმართველო) თანდათანობით შეივსება და ბაკურიანი მართლაც „დიდ ბაკურიანად" იქცევა.

# ძიუდოისტები ეძებენ სპონსორებს!

**საქართველოს** ძიუდოისტთა წარმატებები როგორც საერთაშორისო, ისე საკავშირო სარბიელზე საყოველთაოდ ცნობილია. ოლიმპიურ თამაშებში მსოფლიოსა და ევროპის ჩემპიონატებში მოპოვებული აქვთ 89 მედალი, მათ შორის 26 ოქროს, 31 ვერცხლისა და 32 ბრინჯაოს ჯილდო. ალარაფერს ვამბობთ საკავშირო ჩემპიონატებზე, სადაც საქართველოს ძიუდოისტთა გამარჯვებები კიდევ უფრო საგულისხმოა და დამაჯერებელი.

ამ ბოლო დროს თავისუფალ და ქართულ ჭიდაობას, სამბოს, ქალთა ძიუდოს, კეთილი და საქმიანი მფარველები — სპონსორები გამოუჩნდნენ. აი, ძიუდოისტი ვაჟები კი დაგვეჩაგრნენ. მაგრამ დარწმუნებული ვართ, დიდხანს ასე არ გაგრძელდება და ქართული სპორტის სიამაყეს — ძიუდოსაც თავისი სპონსორები ეყოლება.

ყველა დაინტერესებულ ორგანიზაციას, საწარმოს, დაწესებულებას, ვისაც კი სურვილი გაუჩნდება მონაწილეობა მიიღოს ამ კეთილშობილურ საქმეში, ვთხოვთ მიმართოს საქართველოს სპორტსახკომის ჭიდაობის ექსპერიმენტულ გაერთიანებას. მისამართი: ჭავჭავაძის პროსპექტი 49 ა. ტელეფონები — 23-51-55 ან 23-14-16.



**ქუჩაში მიმავალს თვალს გავადევნებთ და გულში გავივლებთ — ერთი ახეთი ბორისი რომ გვყავდეს ახლა „დინამოში"... დიახ, მის სახელთან მჭიდროდაა დაკავშირებული წინსვლა ქართული ფეხბურთისა, რომლის დიდებაც მან შორს გაიტანა თავისი, სწორუპოვარი თამაშით. ტყავის ბურთის ჯადოქარს ბორის პაიჭაძეს დღეს დაბადებიდან 75 წელი შეუსრულდა.** (იხ. მე-8 გვ.).

საბჭოთა კავშირის ჩემპიონატი ძიუდოში — ტურნირის ექო

# ყოველგვარი დებულების მიუხედავად

**ჩვენს ძიუდოისტებს გულდამშვიდებით ვისტუმრებთ სხვადასხვა რანგის ტურნირებზე, ვიცით რა მათი ძალა. არც შეჯიბრებებისადმი ჩვენი ცნობისწადილია შიშნეული, ვაითუ ახლა უარესად გამოვიდნენო. მაგრამ სპორტი სპორტია, და, ცხადია, ხდება გაუთვალისწინებელი შემთხვევებიც, მაგრამ იგი მაინც ვერ ახვამს აშკარად სახინო დაღს და ეპიზოდებად თუ რჩება ჩვენი ძიუდოისტების საერთო დიდი გამარჯვების ფონზე.**

**წლევანდელ საკავშირო ჩემპიონატშიც, რომელიც კიევში გაიმართა, ქართველმა ფალავნებმა კიდევ ერთხელ დაუმტკიცეს ყველას თავიანთი ძალა და ოსტატობა, მოიპოვეს ოთხი ოქროს, ორი ვერცხლისა და სამი ბრინჯაოს მედალი.**

**უკრაინის** დედაქალაქში საკავშირო საუწყებო ჩემპიონატი ჩატარდა და არა რესპუბლიკებს შორის. ეს წელიწადმონაცვლეობით ხდება. თუ ვის აძლევს ხელს საუწყებო ჩემპიონატი ძიუდოში, ამას, ვფიქრობთ, ახსნა არ სჭირდება. ყველაზე ძალიან კი ჩვენ ვზარალობთ: უძლიერესი გუნდი, — საქართველოს ნაკრები სხვადასხვა უწყებებზე (ცსკა, „დინამო"...) ნაწილდება.

პირველ ყოვლისა სწორედ ამის შესახებ ვკითხეთ საქართველოს ნაკრების უფროს მწვრთნელს, სპორტის დამსახურებულ ოსტატს **შოთა ხაბარელს**, გვაინტერესებდა, თუ უშლიდა ხელს (და რამდენად უშლიდა) ჩემპიონატის აღნიშნული ფორმულა ჩვენს მოჭიდავეებს პირად წარმატებაში (გუნდური შედეგები, ცხადია, სპორტსაზოგადოებებს შორის ჯამდება).

— გვიშლის, რასაკვირველია, თორემ უფრო მეტ მედალს ავიღებდით, — გვითხრა ოლიმპიურმა ჩემპიონმა. — საუწყებო ჩემპიონატის დროს წილისყრას არ გვაკარებენ, მასში საკავშირო სპორტსაზოგადოებების წარმომადგენლები იღებენ მონაწილეობას, მათ კი თავიანთი მიზნები აქვთ. ასეთ წილისყრას ის მოაქვს ჩვენთვის, რომ ბევრი ქართველი მოჭიდავე ერთმანეთს ხვდება და ერთმანეთს უშლიან ხელს წარმატებაში. მაგალითად, ახლაც, კენჭისყრის შემდეგ, ათი შეწყვილება ქართველი სპორტსმენებით მოხდა. თან ვერ გამიგია, როგორ ხდება, რომ ისინი სწორედ საწყის ეტაპებზე უპირისპირდებიან ერთმანეთს. თან ე. წ. აჩრდილთა შეხვედრების, ესე იგი, დამატებითი ორთაბრძოლების სიაში, ჩვენებს ძალზე ხშირად აღმოაჩენ ხოლმე. კენჭისყრის მნიშვნელობის სათანადოდ შესაფასებლად გეტყვით, რომ აღნიშნულ პირობებში ერთმა შეხვედრამ შეიძლება 3-4 მედალი დაგაკარგვინოს.

?!..

— ახლავე აგიხსნით: 86 კგ წონაში ერთმანეთს შეხვდნენ დავით ბაგაური და გიორგი გაჩეჩილაძე. ეს იყო საოცრად დაძაბული შერკინება (ჩვენ დიდი იმედები გვაქვს ამ მოჭიდავეებისა), რომელმაც უზარმაზარი ენერგია წაართვა ორივეს. თუმცა შესამჩნევ უპირატესობას ვერც ერთმა ვერ მიაღწია. გაჩეჩილაძეს ერთი შენიშვნა ჰქონდა (ჩუი) და გამარჯვება ბაგაურს მიეკუთვნა, მაგრამ იმდენად დაქანცული იყო იგი, მაშინვე წააგო ფინალში გასასვლელი შეხვედრა. ასე რომ, ამ ორმა ძლიერმა მოჭიდავემ ერთი მედალიც ვერ აიღო.

ამავე წონაში 19 წლის თამაზ საკაშვილმა ფაქტობრივად მოუგო სივცევს, რომელიც შემდეგ ჩემპიონი გახდა. მსაჯებმა დიდხანს ითათბირეს და ის გდება თამაზს მაინც არ დაუმტკიცეს. სივცევს კი არც ერთი ილეთი არ ჰქონდა ჩატარებული და გამარჯვება მას მსაჯთა გადაწყვეტილებით მიენიჭა (ჰანტეი). საკაშვილისათვის რომ კუთვნილი მოგება ერგუნებინათ, იგი შემდეგ ეტაპზე ხვდებოდა ვასილ ომარაშვილს, შემდეგ — ანზორ თენაძეს. მოკლედ, ამ წონაში მედლებს აუცილებლად ავიღებდით.

მაგრამ არა უშავს, ისეთი ბიჭები არიან, რომ დიდი იმედი მაქვს, ეს წონაც მალე „ჩვენი" იქნება.

● **კობა კურტანიძე ზედიზედ მეექვსედ გახდა ქვეყნის ჩემპიონი. გია თენაძეც ყველასთვის ცნობილი სპორტსმენია. რას იტყვით ჩვენს სხვა ორ ჩემპიონზე?**

— ჩვენთვის ძალზე მნიშვნელოვანია, რომ საბჭოთა კავშირის ჩემპიონობა მოიპოვეს ახალგაზრდა ძიუდოისტებმა, გურამ მოდებაძემ და ზაზა დაბრუნდაშვილმა. მოდებაძემ, საერთოდ, მკვეთრად აიმაღლა ოსტატობა ბოლო დროს. არც კიევში და არც უფრო ადრე იაპონიაში გამართულ დიდ საერთაშორისო ტურნირზე მას ტოლი არ გამოუჩნდა. მინდა დავასახელო მისი მწვრთნელიც — გურამ გოგოლაური.



მოდებაძეს კარგი შანსი გაუჩნდა გაემგზავროს ევროპის ჩემპიონატზე, რადგან ფავორიტი 65 კგ წონაში — სერგეი კოსმინინი, კიევში დამარცხდა და თან ტრავმაც მიიღო.

ზაზა კი სამჯერ იყო ქვეყნის ჩემპიონი ახალგაზრდებს შორის და ახლა დიდებშიც გაიმარჯვა. იგი 20 წლისაა, კარგი პერსპექტივა აქვს, ახლა კი მსოფლიოს ახალგაზრდული ჩემპიონატისთვის მოემზადება. ზაზას მწვრთნელია ვახტანგ კბილაშვილი. კობაზე და გიაზეც კარგის მეტი, აბა, რა მეთქმის. კობა უკვე ექვსჯერ გახდა ქვეყნის ჩემპიონი და შემიძლია გითხრათ, რომ ასე კარგად არც ერთხელ არ უჭიდავია. საოცრად გამოზომილად და დაკვირვებით აკეთებდა ყველაფერს.

იგივე წარმატებით მოქმედებდა გია თენაძე, მეტოქეებს ყველა გზა მოუჭრა და გამარჯვების იმედი გადაუწურა. ორივე ძალზე ეფექტურად იყენებდა დიდ გამოცდილებას.

● **სხვა ჩვენს მოჭიდავეებზე რას იტყვით?**

— ვალერი პარუნაშვილი და დავით ხახალეიშვილი ახალგაზრდობის მიუხედავად უკვე ცნობილი ძიუდოისტები არიან და მათ მიერ საპრიზო ადგილების მოპოვება არ არის რაიმე განსაკუთრებული შემთხვევა.

ძალიან კარგად იჭიდავა ლენტეხელმა კახა ქურასპედიანმა (მას ბერდია გუგავა ავარჯიშებს), რომელმაც ნაკრების ყველა წევრს მოუგო (ტოტიკაშვილის გარდა, ცხადია). ფინალში, მართალი გითხრათ, შემთხვევით წააგო. ტოტიკაშვილი კი, ალბათ იცით, ცოტა შეუძლოდ იყო და გადავწყვიტეთ ზედმეტად არ დაგვეტვირთა. ავად იყო კიბორძალიძეც.

60 კილოგრამ წონაში კიდევ ერთი ძალიან კარგი ბიჭი გვყავს — მარტყოფელი კეჟერაშვილი. ასე რომ, ეს ორი ახალგაზრდა, ქურასპედიანი და კეჟერაშვილი, მალე ამირან ტოტიკაშვილს ამოუდგებიან გვერდში.

აბსოლუტურ წონაში მეხუთე ადგილი დაიკავა ლერი ქორქოლიანმა, მას ამ კატეგორიის მოჭიდავისათვის ჯერ მცირე წონა აქვს, სულ ას კილოგრამს იწონის, ასე რომ, პერსპექტივა კარგი აქვს.

● **როგორია ჩვენი მოჭიდავეების პოზიცია საბჭოთა კავშირის ნაკრებში?**

— თუ ადრე ოთხ წონაზე ვაცხადებდით პრეტენზიას, ახლა გვინდა ევროპის ჩემპიონატზე ხუთი ქართველი ძიუდოისტი გაემგზავროს. მეხუთედ, ალბათ მიხვდებით, გურამ მოდებაძე გვყავს მხედველობაში. გარდა ამისა, ჩვენი ყველა პერსპექტიული მოჭიდავე საკავშირო ნაკრების სახელით სხვადასხვა საერთაშორისო ტურნირებში მიიღებს მონაწილეობას. ქვეყნის ნაკრების ახალი მწვრთნელი ვლადიმერ კაპლინი, ობიექტური კაცია. 71 კილოგრამ წონაში ვლადიმერ დგებუაძემ, მართალია, კიევში წააგო, მაგრამ მაინც ნაკრებში რჩება. ლადოს პირველსავე შეხვედრაში მისთვის ტრადიციულად უხერხული მეტოქე, შარაფ ვარაევი შეხვდა და დამარცხდა. მაგრამ მე კი არა, იქ მყოფმა ყველა სპეციალისტმა აღნიშნა, ეს შემთხვევითი ამბავიაო და ლადო ნაკრებში დატოვეს.

მსოფლიოს ახალგაზრდული ჩემპიონატისათვის დაბრუნდაშვილის გარდა ემზადებიან დგებუაძე და გ. ხაბულიანი, რომელმაც კიევში ძალიან კარგი შთაბეჭდილება დატოვა. ისინი ამის გამო თბილისის საერთაშორისო ტურნირზე ვერ გამოვლენ, თუმცა, საერთოდ, ჩვენთან ძლიერი უცხოელი ძიუდოისტების ჩამოსვლას უნდა ველოდოთ თებერვლის ბოლოს, ტურნირზე.

მინდა გითხრათ, რომ კიევში ჩატარებული ჩემპიონატი განსაკუთრებული იყო, იქ ისეთი მწვავე ორთაბრძოლები გაიმართა, ადრე რომ არ მინახავს. მიზეზი ის იყო, რომ სწორედ წლეულს იწყება იმ ნაკრების წევრების არჩევა, რომლებიც 1992 წელს ბარსელონის ოლიმპიადაზე უნდა გაემგზავრონ.

წელს გაიმართება უმნიშვნელოვანესი შეჯიბრება — „კეთილი ნების თამაშები". თვით ევროპის ჩემპიონატიც კი ამ ასპარეზობისთვის მზადების ერთ-ერთ ეტაპად ჩათვალეს.

● **ჩვენი ძიუდოისტების წარმატებას მივეჩვიეთ. რა განაპირობებს ამას და უახლოეს ხანში ხომ არ უნდა ველოდოთ მოპოვებული პოზიციების შერყევას?**

— ბევრი რამ არის ჩვენი მიღწევების საწინდარი, მაგალითად ის, რომ გვაქვს ორი შესანიშნავი საერთაშორისო ტურნირი, დიდებისა და პატარების. რაც მთავარია, გვაქვს ჩვენი საფუძველი — ქართული ჭიდაობა. ჩვენი სპეციალისტების ნაყოფიერი შრომაც დიდ როლს ასრულებს, რასაკვირველია. რაც შეეხება პერსპექტივას, მართალია, ჩვენი მეტოქეები საგანგებო ზომებს იღებენ, მაგრამ, არა მგონია, უახლოეს ხანში შესამჩნევად რამე შეიცვალოს. ჩვენ საიმედო რეზერვი გვყავს.

ჩაიწერა
**გიორგი პავლიაშვილმა.**

---

# რა მოხდა კრილაცკის ტრეკზე

**როგორც** ვიუწყებოდით, მოსკოვში, კრილატსკის ოლიმპიურ ველოტრეკზე გამართულ საერთაშორისო ტურნირში სპრინტერთა შეჯიბრების ფავორიტებმა — მოსკოველმა ნიკოლოზ კოვშმა და თბილისელმა ოთარ მჭედლიშვილმა მეოთხედფინალამდე ვერ მიაღწიეს და დაკარგეს ბრძოლის გაგრძელების უფლება. ამასთან დაკავშირებით რედაქციამ რამდენიმე წერილი მიიღო, რომელშიც მკითხველები გვთხოვენ უფრო დაწვრილებით გვეამბნა იმის შესახებ თუ რა მოხდა ოლიმპიურ ტრეკზე. დღეს ჩვენ ამის საშუალება მოგვეცა.

მსოფლიო ჩემპიონატის ბრინჯაოს პრიზიორი ნიკოლოზ კოვში და ქვეყნის ერთ-ერთი უძლიერესი სპრინტერი ოთარ მჭედლიშვილი მართლაც ტურნირის მთავარი ფავორიტები იყვნენ. ერთ-ერთ წინასწარ რბოლაში ისინი იმდენად გაერთნენ ერთმანეთის დევნითა და მეთვალყურეობით, რომ მხედველობიდან გამორჩათ ბულგარელი და ჩეხოსლოვაკიელი ველოსიპედისტების მოულოდნელი ბიძგი. ისინი გონს მხოლოდ მაშინ მოვიდნენ, როცა მეტოქეები ნახევარი წრით იყვნენ წინ.

სწორედ ამ უყურადღებობის გამო მჭედლიშვილი საბოლოოდ მერვე ადგილზე გავიდა, კოვში კი... მხოლოდ მეთოთხმეტეზე. ათი დღის შემდეგ ველოსიპედისტთა ზამთრის საკავშირო ჩემპიონატზე მჭედლიშვილმა და კოვშმა უნდა დაამტკიცონ, რომ ეს წარუმატებლობა შემთხვევითი იყო და ისინი ფავორიტებად რჩებიან.

აეროფლოტის მთავარი პრიზი კი სიმფეროპოლელმა ევგენი ტურკოვსკიმ დაისაკუთრა. იგი სპრინტერთა შეჯიბრებაში უძლიერესი იყო. მეორე ადგილზე ოდესელი იგორ შელინსკი გავიდა, მესამეზე — ლვოველი ევგენი დოროფეევი.

---

# „ალიმენტების ნაცვლად... ნაფცქვენი"

**ამ სათაურით „ლელოს" 7 იანვრის ნომერში გამოქვეყნდა რეპლიკა, რომელიც ეხებოდა თბილისის სპორტის სასახლეში გამართულ საკმაოდ საეჭვო ღირებულების ღონისძიებას, რომელთა მომწყობებმა მას „ამერიკული კრივი, ჭიდაობა და კეტჩი" უწოდეს. ამის თაობაზე მალე მივიღეთ წერილი სპორტის სასახლის დირექტორის ხელმოწერით, რომელსაც აქვე გთავაზობთ:**

„1989 წლის 14 დეკემბერს სპორტის სასახლესა და სახელმწიფო ფილარმონიას შორის „ამერიკული კეტჩის" ჩასატარებლად დაიდო ხელშეკრულება, რომლის თანახმად უნდა მიგვექირავებინა სპორტის სასახლე საქართველოს ფილარმონიასთან არსებული „ვახტანგკონცერტისთვის". იჯარა დღეში 3093 მანეთს შეადგენდა, მაგრამ, როგორც გამოირკვა, გამოცხადებული ანსამბლის („ამერიკული და შვედური კეტჩი") ნაცვლად თბილისში ჩამოვიდნენ პოლონელი სპორტსმენები, რამაც გამოიწვია მაყურებელთა სრულიად გამართლებული გულისწყრომა, რაც გადაიზარდა უხეშობაში და ბოლოს კონცერტი ჩაიშალა კიდეც.

ამის გამო სპორტის სასახლე იძულებული გახდა დროზე ადრე (13 წარმოდგენის ნაცვლად ჩატარდა 3 კონცერტი) შეეწყვიტა აღნიშნული ღონისძიება. მე, პირადად, გამოვედი საქართველოს ტელევიზიით და მიუხედავად იმისა, რომ სპორტის სასახლეს არ მიუძღოდა ბრალი ამ ღონისძიების მოწყობასა და მის ჩაშლაში, ბოდიში მოვუხადე ჩვენს მაყურებელს და მთელს რესპუბლიკას. გარდა ამისა, 14 იანვარს საღამოს, მორიგი უწესრიგობის დროს, მაყურებლებს ვაუწყე, რომ „მოსკონცერტის" მხრივ ასეთი შემთხვევა პირველი არ იყო: ანალოგიური რამ მოხდა 1989 წლის ნოემბერში, როდესაც ინგლისელი მომღერლის მადონას მაგიერ იუგოსლავიელი მომღერალი გამოგვიგზავნეს.

როგორც უკვე ვთქვით, ამ ეგრეთ წოდებულ კეტჩის ჩატარება შევწყვიტეთ, ხოლო კუთვნილი თანხა, რომელიც უნდა მიეღო ჩამოსულ კოლექტივს, გადავწყვიტეთ გადაგვერიცხა საქართველოს დემოგრაფიულ ფონდში, რასაც კმაყოფილებით შეხვდა მაყურებელი. იმ საღამოებს არაფერი ჰქონდათ საერთო ჭიდაობასთან და სპორტთან.

აქვე მინდა აღვნიშნო ერთი გარემოებაც, რომელიც რატომღაც იწვევს არა უადგილო და არა გაუმართლებელ ეჭვს.

კონცერტის ჩაშლის შემდეგ შევედი გასახდელში, სადაც იყვნენ პოლონელი სტუმრები და იქ აღმოჩნდა ჟურნალ „ოგონიოკის" ...ფოტოკორესპონდენტი, და კიდევ სხვაც. ალბათ, დამეთანხმებით, რომ ძალზე საეჭვო დამთხვევაა „ოგონიოკის" კორესპონდენტების ამ ანსამბლთან ერთად ჩამოსვლა თბილისში".

**თენგიზ ლომიძე,**
**თბილისის სპორტის სასახლის დირექტორი.**

---

# მხარს ვუჭერთ

**„შენ რას იტყვი, მკითხველო?"** — ასე ამთავრებს „ლელოს" 25 იანვრის ნომერში დაბეჭდილ წერილს („დავუმტკიცოთ ჩვენი სიძლიერე") ბატონი შოთა ზუკაკიშვილი.

ვფიქრობთ, ძალიან საინტერესო წინადადებაა. ბოლოს და ბოლოს ყველაფერს ხომ თავისი სახელი უნდა დაერქვას. აღნიშნული წერილი განვიხილეთ კოოპერატივის გამგეობის სხდომაზე და გადავწყვიტეთ თუ შედგა მოჭადრაკე ქალთა შორის მატჩ-ტურნირები:

**1. საბჭოთა კავშირის ნაკრები — საქართველო,**

**2. მსოფლიოს ნაკრები — საქართველო,**

**3. უნგრეთის ნაკრები — საქართველო,**

თითოეული გამართული მატჩ-ტურნირის საპრიზო ფონდის ანგარიშზე გადავრიცხოთ 500-500 მანეთი.

**ლევან ჟურაშვილი,**
**თბილისის ორჯონიკიძის რაიონის ფიზკულტურისა და სპორტის მომსახურეობის კოოპერატივ „სიმხნევე-88"-ის გამგეობის თავმჯდომარე.**

---

# მოულოდნელი სტარტი

**შვეიცარიის** ქალაქ ბერნში დაიწყო მოჭადრაკე ვაჟთა მსოფლიო პირველობის მორიგი ციკლის ერთ-ერთი ზონალური ტურნირი, რომელშიც მონაწილეობენ ავსტრიის, ისრაელის, დასავლეთ გერმანიის, შვეიცარიისა და ლიხტენშტეინის წარმომადგენლები.

2 ტურის შემდეგ სატურნირო ცხრილის სათავეში ნაკლებად ცნობილი მოჭადრაკეები დგანან. ქულათა მაქსიმუმით შეჯიბრებას ლიდერობენ ავსტრიელი ფაულანდი და ისრაელელი რეხლისი.

---

# მოკლედ

შარშან „შევარდენის" ზესტაფონის რაიონული საბჭოს პირველ მუშათა სპარტაკიადაზე ყველას აჯობა ტრესტ „ცენტრმეტალურგმშენის" სპეციალური სამმართველოს ფიზკულტურულმა კოლექტივმა (პროფკავშირის ადგილკომის თავმჯდომარე ზ. ვარდია, ფიზკულტურის ინსტიტუტის მეთოდისტი ზ. ბოჭორიშვილი).

ამ კოლექტივმა იმარჯვა მეორე სპარტაკიადაზეც, რომელშიც წარმოება-დაწესებულებების, კოლმეურნეობების, საბჭოთა მეურნეობების 33 ფიზკულტურული კოლექტივი მონაწილეობდა.

სპარტაკიადის პროგრამაში იყო მაგიდის ჩოგბურთი, ჭადრაკი, შაში, ფეხბურთი, კალათბურთი, ფრენბურთი, ცურვა და ტურიზმი.

სპარტაკიადის მეორე პრიზიორი გახდა ფეროშენადნობთა ქარხნის გუნდი, ხოლო მესამე ადგილი ადგილობრივი მრეწველობის საწარმოო გაერთიანების ფიზკულტურულმა კოლექტივმა მოიპოვა.

**ჰ. ნებიერიძე.**

ზესტაფონი.

**გაიმართა** ზუგდიდის რაისაბჭოს პირველობა მინიფეხბურთში, სადაც მონაწილეობდა 20 გუნდი. შეხვედრები დაუმარცხებლად ჩაატარეს და რაიონის ჩემპიონის სახელი მოიპოვეს ავტოტრანსპორტელებმა, მეორე ადგილზე გავიდნენ კახათელი, ხოლო მესამეზე — რუხელი სპორტსმენები.

მსაჯთა კოლეგიამ და შეჯიბრებაში მონაწილე სპორტსმენებმა მიზანშეწონილად მიიჩნიეს მსგავსი ასპარეზობა ყოველწლიურად გამართონ.

**გოგი ჭეჟია,**
**შეჯიბრების მთავარი მსაჯი.**



# ქართული ფეხბურთის მებაირახტრე

**ტყავის** ბურთის დიდოსტატსა და გამოჩენილ ქართველ ფეხბურთელს ბორის პაიჭაძეს დაბადებიდან 75 წელი შეუსრულდა. იგი საყოველთაოდ აღიარებულია ყველა დროის ერთ-ერთ საუკეთესო მოთამაშედ და ქართული ფეხბურთის მებაირახტრედ.

იმ ხანად, როცა ბორის პაიჭაძე მწვანე მინდორზე გამოდიოდა, მას სხვადასხვა ეპითეტებით ამკობდნენ და თავიდანვე „მოხეტიალე ფორვარდის" განსაზღვრა მოსწონდათ და ყველას პირზე ეკერა ალბათ იმიტომაც, რომ სწორედ ეს მიესადაგებოდა მის დაუდეგარ სულს და ვერცხლის წყალივით მოძრავს, მის შეუპოვრობას და დახვეწილ ოსტატობას.

აი, რას წერდა ბ. პაიჭაძის შესახებ 1946 წლის 21 ივლისს „იზვესტიაში" ცნობილი საბჭოთა ჟურნალისტი ქალი ტატიანა ტესი:

„მოსკოველებმა იხილეს სამხრეთელთა ბრწყინვალე თამაში, რომელიც მახვილგონივრული კომბინაციებით იყო აღსავსე. თბილისელთა ფორვარდი ბორის პაიჭაძე ერთსულოვნადაა აღიარებული „მინდვრის მეფედ".

ბ. პაიჭაძე — ეს არის ფორვარდი, რომელიც ბურთს ხშირად ისეთი მდგომარეობიდან და „წერტილებიდან" ურტყამს, რომ მაყურებელს აოცებს... ამასთან ურტყამს ძლიერად, ზუსტად. წამის რაღაც მონაკვეთი სჭირდება მას ბურთის ფეხზე „მოსარგებად" და ხელსაყრელი ადგილის ასარჩევად... მაშინ გოლი გარდაუვალია". უფრო ადრე კი, საკავშირო სარბიელზე გამოჩენისთანავე ყურადღებას იპყრობდა საგაზეთო სათაურები: „პაიჭაძე თავდასხმის ლიდერი", „მინდორზეა ბორის პაიჭაძე", „პაიჭაძე ევროპული კლასის მოთამაშეა", „დრიბლინგის დიდოსტატი", „მეკარეთა რისხვა" და მრავალი სხვა. აღარაფერს ვამბობთ რუმინულ „გაზეტა სპორტურილორზე", რომელმაც 1945 წელს, რუმინეთის სტადიონებზე თბილისის „დინამოს" გამოსვლის შემდეგ სტუმრების ცენტრალურ თავდამსხმელს „ფეხბურთის კარუზო" უწოდა.

და დღეს, როცა ფეხბურთს დიდ ესთეტიკურ მოთხოვნებს ვუყენებთ, რაღა თქმა უნდა, ამის ეტალონად პირველ ყოვლისა, ბორის პაიჭაძეს ვგულისხმობთ.

„თბილისელთა თავდასხმას ხელმძღვანელობს დაუღალავი და საშიში პაიჭაძე, — წერდა მისი დებიუტის შესახებ გაზეთი „კრასნი სპორტი", — უნდა ითქვას, რომ საბჭოთა კავშირის ფორვარდთა შორის არავის არ შეუძლია ისე მოხერხებულად და სწრაფად დაამუშაოს ბურთი, როგორც პაიჭაძეს... სპარტაკელებმა პირველი ტაიმის ბოლოს მიაგნეს მოწინააღმდეგის ტაქტიკას, საიმედო მცველები დაუყენეს პაიჭაძეს და მხოლოდ მაშინღა შეძლეს შეტევაზე გადასვლა". ყველაზე ძლიერი გუნდიც კი, როდესაც ის თბილისის „დინამოსთან" სათამაშოდ ემზადებოდა, უპირველეს ყოვლისა, ადგენდა საგანგებო გეგმას, თუ როგორ დაეცვა კარი ამ მრისხანე თავდამსხმელისგან. ბორის პაიჭაძის სამი დარტყმიდან ერთი მაინც გოლით მთავრდებოდა ხოლმე, მაგრამ იგი არა მარტო ზუსტი დარტყმის ოსტატი იყო. ისე არავის შეეძლო ბურთით გადაესერა მთელი მინდორი და გაერღვია დაცვის ხაზი, როგორც მას. ბურთი ყოველთვის ნახევარი მეტრით წინ ჰქონდა წაგდებული, თითქოს მის ნაბიჯებს უწყობს ფეხსო. მისთვის პატარა ადგილიც საკმარისი იყო რამდენიმე მოთამაშის მოსატყუებლად, თამაშში იგი მთელი არსებით იყო ჩაბმული. ისე მივიდოდა მოედნის ცენტრამდე, რომ ფეხზე „მიწებებული" ბურთით უცებ გაჭრილიყო წინ. მერე წინ აღმდგარ მეტოქეთ თვალსა და ხელს შუა უსხლტებოდა და ასე შეუბორკავი და დაუოკებელი მიილტვოდა მათი კარისკენ. ტრიბუნებზე მსხდომთ სული ეგუბებოდათ მოლოდინით— ახლა რაღაც საოცრება უნდა მომხდარიყო. ბ. პაიჭაძეს ოსტატურად მიჰყავდა თამაში, მას კარგად ესმოდა, რომ იერიშის შედეგს სწორედ სანტიმეტრები და წამები გადაწყვეტდა.

მისი გამოსვლა მით უფრო ძლიერი და მიმზიდველი იმით იყო, რომ თავად ლამაზად თამაშობდა და იმიტაც, თუ როგორ ეთამაშებოდა მას გუნდი, თუ როგორ სჯეროდათ მისი, როგორ ენდობოდნენ, როგორ უნდოდა თვით ბორისს გულშემატკივართა რწმენა და იმედი რომ გაემართლებინა.

ბ. პაიჭაძემ ბავშვობა ფოთში გაატარა, იქვე, ნავსადგურის მახლობლად ტრიალ მინდორზე ეზიარა ფეხბურთს. ეს უცხო ხილი ამ საპორტო ქალაქში საზღვარგარეთელმა მეზღვაურებმა, კერძოდ, კი ინგლისელებმა ჩაიტანეს. ფოთელებს ძლიერ მოეწონათ ეს თამაში, მათ შორის იმთავითვე ბორისიც იყო, მაგრამ მის ცხოვრებაში მაინც დადგა მომენტი, როცა ზღვის სტიქია და ტყავის ბურთი სასწორზე უნდა დაედო. მაშინ გემის კაპიტნობაზე ოცნებამ გადაძლია და ბორისი სატვირთო გემ „ტენდრაზე" მექანიკოსად მოეწყო, შემდეგ კი უფრო დიდ სატრანსპორტო გემზე „მეტალისტზე" გადავიდა, რომელიც შორეულ ცურვაში მიემგზავრებოდა. გემზე ბორისმა შემაშფოთებელი დეპეშა მიიღო: მამა უკანასკნელ დღეშია და ჩამოუსწარიო. ამ ხერხით „გამოსტაცა" ფოთის ფეხბურთელთა ნაკრებმა ზღვას თავისი კაპიტანი, ფოთელები ხომ მაშინ ბათუმელებთან სათამაშოდ ემზადებოდნენ. ეს თამაში თბილისში გაიმართა და ფოთელთა გამარჯვებით დამთავრდა, თანაც მეტოქეთა კარში ორივე ბურთი ბორისმა გაიტანა. ასე დაიწყო დიდი გზა ფეხბურთში და ბორის პაიჭაძემ ჯერ ინდუსტრიული ინსტიტუტის გუნდში, მერე კი თბილისის „დინამოში" დაიკავა თავისი პოსტი.

ბ. პაიჭაძე დღესაც ქართული ფეხბურთის დროშაა, იმიტომ, რომ მან თავისი დიდი ნიჭი მთლიანად მშობლიური ფეხბურთის სამსახურს მოახმარა.

**ჟ. უნგიაძე.**

# მსოფლიო ჩემპიონატის არბიტრები

**ფეხბურთის** საერთაშორისო ფედერაციამ გამოაქვეყნა 36 არბიტრის სია, რომლებიც მოემსახურებიან იტალიის მსოფლიო ჩემპიონატის მატჩებს. მათ შორის არის ალექსეი სპირინიც, რომელიც სსრ კავშირის ფეხბურთის ფედერაციის შემადგენლობიდან აირჩია ფიფა-მ.

არბიტრთა ეს სია ციურიხში დაამტკიცა ფეხბურთის საერთაშორისო ფედერაციის მსაჯთა კომიტეტმა. მსაჯთა შორის 19 ევროპელია, 7 — სამხრეთამერიკელი, 3-3 — აფრიკიდან, აზიიდან, ჩრდილოეთ, ცენტრალური ამერიკიდან, კარიბის ზღვის აუზიდან, ერთიც — ოკეანიის წარმომადგენელი (ავსტრალიელი).

მსოფლიოს საფეხბურთო ჩემპიონატების ისტორიაში პირველად ორი ქვეყნიდან თითო არბიტრზე მეტია წარდგენილი. ესენია ლუიჯი ანიოლი და ტულიო ლანეზე (იტალია), ჟოელ კინიო და მიშელ ვოტრო (საფრანგეთი).

როგორც ფეხბურთის საერთაშორისო ფედერაცია იტყობინება, მსოფლიო ჩემპიონატის ფინალური ეტაპის არბიტრები მარტში ორკვირიან სემინარზე შეიკრიბებიან იტალიის ქალაქ პიზაში, სადაც უნდა გამოიმუშაონ წესების ერთიანი კონცეფცია. მსაჯთა დანიშვნა მსოფლიო ჩემპიონატის პირველი ტურის თამაშებზე მოხდება ზაფხულის დასაწყისში, ჩემპიონატის გახსნამდე რამდენიმე დღით ადრე.



● **შოტლანდიის** წლევანდელი პირველობის მთავარი მოულოდნელობა, ახალბედა „დანფერმლაინის" კარგი თამაშია. დიდი ხნის განმავლობაში გუნდი სამეულში იმყოფებოდა და ახლაც ლიდერთა ჯგუფშია. მიმომხილველები ამ წარმატებას უნგრელ კოზმასა და გუნდის გოლეადორ ჯეიკის სახელს უკავშირებენ.

● **ჰოლანდიის** „აიაქსი" ცდილობს თავისი მთავარი კონკურენტის „ეინდჰოვენის" ჰეგემონიის დამხობას. ამაში მთავარ როლს ასრულებენ შვეციის ნაკრების მოთამაშეები პეტერ ლარსონი და სტეფან პეტერსონი, (ამ უკანასკნელმა სწრაფად აღიდგინა სპორტული ფორმა მძიმე ტრავმის შემდეგ). პირველი წრის ბოლო მატჩებში ბრწყინვალედ ათამაშდა კიდევ ერთი უცხოელი ფეხბურთელი — ახლად შეძენილი უნგრელი დიულა ფიშერი.

● **მსოფლიოში** ცნობილი საგაზეთო მაგნატის მაქსუელის ოჯახი ფეხბურთის დიდი ქომაგია. ოჯახის უფროსი რობერტ მაქსუელი „დერბი ქაუნთს" ფლობს, შვილი ქევინი — „ოქსფორდ იუნაიტედს". როგორც ინგლისური პრესა იუწყება, სულ მალე მათ მფლობელობაში აღმოჩნდებოდა კიდევ ერთი კლუბი, ოღონდ არა ინგლისური. ეს იქნება ისრაელის ერთ-ერთი უძლიერესი გუნდი „ბეითარი" (იერუსალიმი).

● **იტალიის** „კორიერა დელა სერიამ" გამოაქვეყნა კოპენჰაგენიდან მიღებული ცნობა. აქ 65 წლის ასაკში გარდაიცვალა ტურინის „იუვენტუსის" ყველა დროის ერთ-ერთი საუკეთესო ბომბარდირი დანიელი კნუდ ჰანსენი. იტალიელებმა იგი 1948 წლის ოლიმპიური თამაშების შემდეგ შეიძინეს, როცა ჰანსენმა მათი ნაკრების კარში (5:3) სამი გოლი გაიტანა. სულ „იუვენტუსში" ჩატარებულ 187 თამაშში ჰანსენის ანგარიშზეა 124 გოლი.

● **1990 წლის** მსოფლიო პირველობის ფინალში გასვლასთან დაკავშირებით ირლანდიის ფეხბურთის ფედერაციამ დააჯილდოვა ნაკრების მოთამაშეები. თითოეულმა ფეხბურთელმა მიიღო კარგა დიდი გასამრჯელო, მაქსიმალური თანხა კი 65 ათას დოლარს შეადგენდა.

● **ირლანდიელი** იან ფერკლაფი 70-იანი წლების ბოლოს „ლივერპულში" თამაშობდა და იყო ევროპის ჩემპიონთა და უეფა-ს თასების მფლობელი. ბოლო წლებში ვეტერანი ბელგიის „ბევერენის" ღირსებას იცავდა, სადაც თითქოს მეორე ახალგაზრდობა გაატარა. ახლახან ფერკლაფი სამშობლოში დაბრუნდა და „ტრანმერში" აპირებს კარიერის დასრულებას.

## საბჭოთა ფეხბურთელები უცხოეთში

**ბანკოკი.** ტაილანდის დედაქალაქში დაიწყო ხ[illegible] ქვეყნის ახალგაზრდული გუნდების საფეხბურთო ტურნირი, რომელშიც სსრ კავშირის ოლიმპიური ნაკრებიც გამოდის. საბჭოთა ფეხბურთელებმა პირველ მატჩში დაამარცხეს ინდონეზიის გუნდი — 5:0. 3 ბურთი გაიტანა კიევის „დინამოს" თავდამსხმელმა ო. სალენკომ.

**კანბერა.** მოსკოვის „ტორპედოს" ფეხბურთელებმა კიდევ ერთი გამარჯვება მოიპოვეს ავსტრალიაში, მათ ახალი სამხრეთ უელსის შტატის ნაკრები დაამარცხეს ქ. ვულონგონგში, რომელიც გაძლიერებული იყო სხვა გუნდების რამდენიმე საუკეთესო ფეხბურთელით. ანგარიშია — 3:0.

● **ჰოლანდიის** „ეინდჰოვენის" თავდამსხმელი იანსენი, მართალია, არასოდეს მიუწვევიათ ქვეყნის ნაკრებში, მაგრამ თავის კლუბში ლიდერი იყო. იგი ოთხჯერ გახდა ქვეყნის ჩემპიონი, ფლობდა ევროპის ჩემპიონთა თასს. წელს გუნდში თავდამსხმელთა მოჭარბების გამო (კიფტი, ჰოულსენი, რომარიო, ბვალა, ჯილჰაუსი) იანსენი უმეტესად სათადარიგოთა სკამზე იჯდა და ამიტომაც კლუბი დატოვა. ამიერიდან იანსენი ბელგიის „კურტრეს" ღირსებას დაიცავს. იქვე ითამაშებს ბელგიის ნაკრების ორი ყოფილი „ვარსკვლავი": მცველი ჟერარ პლესერსი („გენკი") და თავდამსხმელი ფილიპ დესმეტი („ლილი" საფრანგეთი) აგრეთვე ბულგარელი ალექსანდროვი („სლავია").

● **ბოლო დროს** სულ უფრო მეტი ბულგარელი მიემგზავრება ევროპის პროფესიულ კლუბებში. ბევრი მათგანი წარმატებით გამოდის იტალიის (ილიევი — „ბოლონია"), ესპანეთის (სირაკოვი — „სარაგოსა", პენევი — „ვალენსია"), ბელგიის (ალექსანდროვი — „კურტრე") ჩემპიონატებში. სულ სადღეისოდ საზღვარგარეთ თამაშობს 35 ბულგარელი. ყველაზე მეტი (10) კვიპროსზე, 9 — პორტუგალიაში, 6 — საბერძნეთში, 3 — საფრანგეთში, 2 — ისრაელში და ერთიც შვეიცარიაში. მალე მათ დაემატება „სრედეცის" კაპიტანი სტოიჩკოვი, რომელიც ესპანეთის „ბარსელონის" ღირსებას დაიცავს.

**(საქ. ინფ.).**

# არავითარი „ლინკოლნი"

**გაზეთებში,** მათ შორის „ლელოშიც", გამოქვეყნდა ცნობა იმის თაობაზე, რომ მოსკოვის ღია პირველობაზე არმრესტლინგში (მკლავჭიდი) აბსოლუტური ჩემპიონის წოდება მოიპოვა 25 წლის თბილისელმა სპორტის ოსტატმა კლასიკურ ჭიდაობაში ზაურ ცხადაძემ, რომელმაც გაიმარჯვა 110 კილოგრამზე ზემოთ წონით კატეგორიაში. ინფორმაციაში ისიც იყო აღნიშნული, რომ ჩემპიონი შინ გამოემგზავრა არა თვითმფრინავით, არამედ „ლინკოლნ ლუქსის" მარკის ავტომობილით — სპეციალური პრიზით, რომელიც აბსოლუტური გამარჯვებულისთვის იყო დაწესებული ტურნირის სპონსორის, საბჭოთა-ამერიკული ერთობლივი ფირმის „ზიგზაგის" მიერ.

საქმეს ამ ოფიციალურ ცნობაში შეცდომაა დაშვებული. კერძოდ „ზიგზაგს" არავითარი „ლინკოლნ ლუქსი" არ გადაუცია გამარჯვებულისთვის, რის შესახებაც გვაცნობა ზაურ ცხადაძის მწვრთნელმა ვახტანგ მუსელიანმა, რომელიც გუნდს მოსკოვში ახლდა. აი, რა გვიამბო მწვრთნელმა:

— ჩვენს გუნდში სამი მკლავჭიდელი იყო: ზაურ ცხადაძე, გოჩა ონანოვი და თამაზ კურკუმელი. სამწუხაროდ, მოსკოვში ვერ ჩამოვიდა ერთ-ერთი ძლიერი სპორტსმენი ერეკლე გურჩიანი. მოგეხსენებათ, პროფესიონალი მკლავჭიდელები ფეხზე მდგომნი ასპარეზობენ. მოსკოვში შეჯიბრება რატომღაც მოყვარულთა წესებით, ანუ დამჯდარ მდგომარეობაში ჩატარდა, რაც ჩვენ გარკვეულ სიძნელეებს გვიქმნიდა. შეჯიბრების მსვლელობამ გამოაჩინა, რომ მოსკოველები მკლავჭიდის წესებში საკმაოდ ცუდად იყვნენ გარკვეულნი. საშეჯიბრო მაგიდებიც ძალზედ უხეშად იყო ნაკეთები. როდესაც გაიგეს, რომ საქართველოში შეჯიბრებები საერთაშორისო წესების თანახმად ტარდება, კონსულტანტობა გვთხოვეს. შეჯიბრებას ცენტრალური ტელევიზიის გარდა აშუქებდნენ იტალიის და ამერიკის შეერთებული შტატების კორესპონდენტები. ასპარეზობა შოუს პროგრამის თანხლებით მიმდინარეობდა და ამიტომ ორ დღეს გაგრძელდა.

ზაურ ცხადაძე შეჯიბრების პირველ დღეს თავისუფალი იყო. თამაზ კურკუმელმა და გოჩა ონანოვმა თავიანთ მოწინააღმდეგეებთან წამებში მოათავეს საქმე და მომდევნო ეტაპზე გავიდნენ.

მთავარი გამოცდა, ცხადია, მეორე დღეს გველოდა. ამ დღეს წაიკითხეს ლექცია მკლავჭიდის თემაზე. გამოვიდნენ სპორტის გამოჩენილი მოღვაწენი. წარმოგვიდგინეს სპონსორები.

საშეჯიბრო მაგიდასთან მძიმე წონაში პირველად ზაურ ცხადაძე გამოვიდა. მისი მეტოქე იყო 150-კილოგრამიანი მოსკოველი მოჭიდავე. ზაურს თავდაპირველად მოწინააღმდეგემ შეუტია. ქართველმა ათლეტმა ძალა მოიცა, და ნებისყოფის დიდი დაძაბვით დაამარცხა რუსი გოლიათი.

სამწუხაროდ, გოჩა ონანოვი რამდენიმე მოწინააღმდეგის დამარცხების შემდეგ გამოეთიშა შეჯიბრებას. მიზეზი ის იყო, რომ სიღნაღელი სპორტსმენი მოსკოვში ტრავმიანი წამოვიდა და თანაც მსაჯები მოსკოველ მკლავჭიდელს აშკარად მიეხმარნენ.. რაც შეეხება თამაზ კურკუმელს, მისი შეჩერება ვეღარავინ შეძლო. ყაზბეგელი ათლეტი 100 კგ წონით კატეგორიაში ჩემპიონი გახდა...

ზაურ ცხადაძეს ფინალში ორმეტრიან მოსკოველ გიგანტთან მოუხდა შეხვედრა. მოწინააღმდეგის გულშემატკივრები გონს ვერ მოეგნენ, რომ მათი კერპის მკლავი მაგიდაზე იდო. აბსოლუტური კატეგორიის ნახევარფინალში ზაურმა თავისივე თანაგუნდელი კურკუმელი დაამარცხა. მანამდე კი ცხადაძემ 110 კგ კატეგორიაში გამარჯვებული ვალერი შმაკოვს სძლია. აბსოლუტური წონითი კატეგორიის ფინალში ზაურმა 75 კგ-ში გამარჯვებული იგორ ბოდრიჩენკო დაჯაბნა.

ახლა იმის შესახებ, რის გამოც ეს წერილი დაიწერა. ყველა წონით კატეგორიაში გამარჯვებულებმა საკმაოდ ძვირფასი პრიზები მიიღეს, მაგრამ ცხადია „ლინკოლნ ლუქსი", რომელიც პრესის მუშაკებმა ზაურ ცხადაძეს „აჩუქეს", სიმართლეს არ შეესაბამება. თამაზ კურკუმელს უკანასკნელი მოდელის ვიდეომაგნიტოფონი „აკაი" გადასცეს, ხოლო მძიმე წონაში გამარჯვებულ ზაურ ცხადაძეს — იგივე სახელწოდების ორკასეტიანი ვიდეომაგნიტოფონი. რაც შეეხება აბსოლუტურ წონით კატეგორიაში გამარჯვებულს, ზაურს რუსი იმპრესიონისტის რამდენიმე ათას დოლარად შეფასებული სურათი აჩუქეს, როგორც ითქვა, მისი საზღვარგარეთ გატანა არ შეიძლება.

ალბათ მკითხველს დააინტერესებს მაინც საიდან გაჩნდა „ლინკოლნ ლუქსი". საქმე ისაა, რომ სპორტის სასახლის გარეთ იდგა ამერიკის შეერთებული შტატების საელჩოს ამ მარკის ავტომანქანა, რომელიც აბსოლუტურ წონით კატეგორიაში გამარჯვებულს ექვსი საათის განმავლობაში უნდა მომსახურებოდა. მანქანამ, მართლაც, გვატარა მოსკოვის ქუჩებში, მაგრამ ეს იყო და ეს. მისი ჩუქება „რატომღაც" არავის უფიქრია.

აი, მოკლე ინფორმაცია, მოსკოვის მკლავჭიდელთა ასპარეზობის შესახებ.

8-9 თებერვალს საკავშირო სპორტსახკომი აწყობს საკავშირო ტურნირს მკლავჭიდში. მაგრამ საქართველოს ნაკრები ამ შეჯიბრებაში მონაწილეობას ვერ მიიღებს... მარტში კი თბილისში ჩატარდება ტრადიციული საერთაშორისო ტურნირი ძალოსნობაში — „მეგობრობის თასზე". საქართველოს მკლავჭიდელთა ნაკრები შეხვდება უძლიერეს ძალოსნებს.



# მატჩები თებერვალში

გთავაზობთ კალათბურთელ ვაჟთა საკავშირო ჩემპიონატის თებერვლის დაზუსტებულ კალენდარს.

**3 თებერვალი.** „დინამო“ (თბილისი) — რტი (მინსკი).

**3-4 თებერვალი.** „დინამო“ (მოსკოვი) — ვეფ (რიგა), „კალევი“ (ტალინი) — „ბუდიველნიკი“ (კიევი).

**4-5 თებერვალი.** ცსკა — „სტატიბა“ (ვილნიუსი).

**7-8 თებერვალი.** „დინამო“ (თბილისი) — ვეფ (რიგა).

**10-11 თებერვალი.** ასკ (ალმა-ათა) — ცსკა, „დინამო“ (მოსკოვი) — „შახტიორი“ (დონეცკი).

**11-12 თებერვალი.** „კალევი“ (ტალინი) — „ჟალგირისი“ (კაუნასი).

**14-15 თებერვალი.** რტი (მინსკი) — „შახტიორი“ (დონეცკი), „ჟალგირისი“ (კაუნასი) — ასკ (ალმა-ათა).

**15 თებერვალი.** ცსკა — „დინამო“ (თბილისი). მეორე წრის გამოტოვებული მატჩი.

**16-17 თებერვალი.** ცსკა — „დინამო“ (თბილისი).

**20-21 თებერვალი.** „სპარტაკი“ (ლენინგრადი) — „დინამო“ (თბილისი), „სტატიბა“ (ვილნიუსი) — „კალევი“ (ტალინი).

**24-25 თებერვალი.** „ბუდიველნიკი“ (კიევი) — ცსკა, „სპარტაკი“ (ლენინგრადი) — „კალევი“ (ტალინი), ასკ (ალმა-ათა) — რტი (მინსკი).

**25-26 თებერვალი.** ვეფ (რიგა) „შახტიორი“ (დონეცკი).

**27-28 თებერვალი.** „დინამო“ (მოსკოვი) — „სტატიბა“ (ვილნიუსი).

სსრ კავშირის ჩემპიონატი კალათბურთში

## „ბუდიველნიკი“ დაწინაურდა

გაიმართა უმაღლესი ლიგის კალათბურთელ ვაჟთა საკავშირო ჩემპიონატის რამდენიმე მატჩი.

**კიევი.** ქვეყნის ჩემპიონმა, ადგილობრივმა „ბუდიველნიკმა“ დაამარცხა ალმა-ათის ასკ საკმაოდ დიდი ანგარიშით 106:80.

**დონეცკი.** „შახტიორისა“ და ვილნიუსის „სტატიბას“ ორთაბრძოლაში მეტოქეებმა ქულები გაიყვეს. პირველი შეხვედრა მოიგო „სტატიბამ“ 90:87 (39:46, 76:76), მეორე — „შახტიორმა“ 86:79 (50:44).

**ლენინგრადი.** ადგილობრივმა „სპარტაკმა“ პირველი შეხვედრა მოუგო კიევის „ბუდიველნიკს“ 88:82. მეორე კი დათმო 72:76.

**გათამაშების ცხრილი**

| | | | | |
|---|---|---|---|---|
| „ბუდიველ.“ (კ) | 32 | 20 | 12 | 52 |
| ცსკა | 27 | 23 | 4 | 50 |
| „დინამო“ (მოსკ.) | 28 | 20 | 8 | 48 |
| ვეფ (რიგა) | 30 | 18 | 12 | 48 |
| „ჟალგირ.“ (კაუნ.) | 29 | 13 | 16 | 42 |
| „სპარტ.“ (ლენ.) | 30 | 12 | 18 | 42 |
| „კალევი“ (ტალ.) | 25 | 14 | 11 | 39 |
| რტი (მინსკი) | 28 | 11 | 17 | 39 |
| ასკ (ალმა-ათა) | 23 | 15 | 8 | 38 |
| „შახტ.“ (დონ.) | 28 | 8 | 20 | 36 |
| „სტატ.“ (ვილნ.) | 30 | 5 | 25 | 35 |
| „დინამო“ (თბ.) | 25 | 9 | 16 | 34 |

## გუშინ...

თბილისის სპორტის სასახლეში გაიმართა სსრ კავშირის ვაჟთა ჩემპიონატის მორიგი კალენდარული მატჩი კალათბურთში. ადგილობრივმა „დინამომ“ უმასპინძლა მინსკის რტი-ს. თამაში დამთავრდა თბილისელთა გამარჯვებით — 80:72 (42:33).

# ოცდაათგვერდიანი სპორტული გაზეთი

**„ნეშნლი“** — ასე ეწოდება ამერიკის შეერთებული შტატების ახალ საერთო-ეროვნულ სპორტულ გაზეთს, რომლის პირველი ნომერი უკვე გაიყიდა ნიუ-იორკის, ლოს-ანჯელესისა და ჩიკაგოს კიოსკებში. აღსანიშნავია, რომ გაზეთი შეიცავს 30 გვერდს და მთლიანად ეროვნულ სპორტულ ცხოვრებას ასახავს. იგი კვირაში ექვსჯერ გამოვა და მისი თავდაპირველი ტირაჟი იქნება 1 მილიონი ეგზემპლარი.

ამასთან დაკავშირებით გამომცემელმა პიტერ პრაისმა განაცხადა: გაზეთის გამოსვლის საჭიროება იმან გამოიწვია, რომ ამერიკელთა უმრავლესობა ყოველდღიურ გაზეთებს ყიდულობს, რათა უპირველესად სწორედ სპორტულ ახალ ამბებს გაეცნოს. გარდა ამისა, ახლა საკაბელო ტელევიზია რამდენიმე არხით მთელ თავის დროს სპორტულ შეჯიბრებათა გაშუქებას უთმობს.

„ნეშნლი“ მკითხველებს მიაწვდის მრავალფეროვან სპორტულ ამბებს, ქრონიკას, კომენტარებსა და თვით კარიკატურებსაც კი (ცხადია, სპორტულ თემაზე). ახალი გაზეთის რედაქციას ეყოლება 125 თანამშრომელი, რომელთაც სათავეში ჩაუდგა პოპულარული სპორტული ჟურნალის „სპორტს ილუსტრეიტედის“ ყოფილი თანამშრომელი ფრანკ დეფორდი. გაზეთის ერთი ნომერი 50 ცენტი ღირს. რაც შეეხება ფინანსურ მხარდაჭერას, მას ცნობილი მექსიკელი „საგაზეთო ბარონი“ ემილიო ასკარაგა უზრუნველყოფს. პირველ ხანებში გაზეთის შეძენა შესაძლებელი იქნება მხოლოდ საგაზეთო კიოსკებში, შემდეგ კი მკითხველებს მისი გამოწერაც შეეძლებათ.

**აღმოსავლური კალენდრით 1990 წელი ცხენის წელიწადია და ხეზონიც ბევრ საინტერესოს პირდება ცხენოსნობის მოყვარულთ. თუმცა, ამ მხრივ არც შარშანდელი წელი იყო ინტერესმოკლებული. გთავაზობთ 1989 წლის დასასრულს მომხდარ რამდენიმე საინტერესო ინფორმაციას.**

### დარჩება „ბიჩერ-ბრუკი“?

**საზოგადოებრიობის** მოთხოვნით ინგლისის ქალაქ ლივერპულში გაიმართა თათბირი, რომელშიც მონაწილეობდნენ ბრიტანეთის ჟოკეი-კლუბის ხელმძღვანელები, მწვრთნელები, ჟოკეები, ვეტერინარი ექიმები. დღის წესრიგში იდგა ერთი საკითხი — რა გზით მიაღწიონ დიდ ეროვნულ სტიპლ-ჩეისში მონაწილე სპორტსმენებისა და ცხენების უსაფრთხოებას. გამომსვლელთა უმრავლესობა ითხოვდა შეეცვალათ „ბიჩერ-ბრუკი“, ერთ-ერთი ურთულესი წინაღობა ამ ასპარეზობაზე. საქმე ისაა, რომ სწორედ აქ ხდება ყველაზე მეტი უბედური შემთხვევა. შარშან, მაგალითად, ამ წინაღობის გადალახვისას დაიღუპა ორი ბედაური.

ეს საკითხი, ალბათ, კვლავ გახდება განხილვის საგანი, რადგანაც თათბირის მონაწილეებმა ჯერჯერობით ვერ გამონახეს საერთო ენა.

### პრიზი ინგლისელ მხედარს

**ინგლისის** ქალაქ ჰიკსტედში გათამაშდა „დუბაის თასი“ და 100 ათასი დოლარი პრიზი წინაღობათა გადალახვაში. გაიმარჯვა ინგლისელმა მხედარმა რ. სმიტმა, რომელიც ცხენ ბრუკსტრიტ ბოისით ასპარეზობდა. ეს წმინდასისხლიანი ჰანოვერული ჯიშის ბედაური რამდენიმე წლის წინ გაიყიდა ვერდენის აუქციონზე. მას შემდეგ მან რამდენიმე მხედარი გამოიცვალა, მათ შორის ისეთი ცნობილი კონკურისტები, როგორიც არიან ჰ. კელერი და კ. ჰუკი გერმანიის ფედერაციული რესპუბლიკიდან, ინგლისელი დ. ბოუენი. ასპარეზობის მეორე პრიზი მიიღო ბრაზილიელმა ნ. პესოამ.

### პირველი საკვალიფიკაციო

**მილანში** გაიმართა 1989-90 წლების სეზონის მსოფლიო თასის გათამაშების პირველი საკვალიფიკაციო შეჯიბრებები ცხენის გაწვრთნის უმაღლეს კლასში. გაიმარჯვა დასავლეთგერმანელმა მხედარმა ჰ. მიუნსტერმანმა, რომელიც ცხენ ფლეირით ასპარეზობდა. მეორე იყო ბელგიელი მხედარი ქალი მ. ლუნსკენი (აბნერით), მესამე — შვეიცარიელი (ასევე ქალი) დ. რამზიე (რასმუსით).

### ქალებმა აჯობეს

**გერმანიის** ფედერაციულ რესპუბლიკაში ჩატარდა ქვეყნის ჩემპიონატი ცხენის გაწვრთნის უმაღლეს კლასში. ამ შეჯიბრების ნიშანდობლივი თვისება ის გახლდათ, რომ ქალები და ვაჟები ცალ-ცალკე ასპარეზობდნენ. ჩემპიონატის დასასრულს აღმოჩნდა, რომ ქალებმა აშკარად დაჯაბნეს ვაჟები. ასე მაგალითად, ქალთა შორის გამარჯვებულის, ოლიმპიური ჩემპიონის ნიკოლ უპჰოფის შედეგი 89 ქულით უსწრებდა ვაჟთა შორის გამარჯვებულის ს.-გ. როტენბერგერის შედეგს (1507 და 1418). დაახლოებით ასეთივე განსხვავება იყო პრიზიორთა შედეგებს შორისაც: ქალთა შორის ვერცხლის მედალი მოიპოვა ა.-კ. ლინზენჰოფმა (1452), ვაჟებში — ვ. აიგნერმა (1381), ბრინჯაო — ქალთა შორის მ. ტეოდორესკუმ (1417), ვაჟებში — მ. კლიმკემ (1347).

### „სპორტპროგნოზი“

**გაერთიანება** „სოიუზსპორტლოტომ“ შეაჯამა „სპორტპროგნოზის“ 1990 წლის მე-4 ტირაჟის შედეგები.

ტირაჟში დაშვებულია 4.143.274 ვარიანტი. 13 შედეგის გამოცნობისთვის (1.969) მოგება 31 მანეთია, 12 შედეგის გამოცნობისთვის (27.967) — 4 მანეთი, 11 შედეგის გამოცნობისთვის (158.940) — 2 მანეთი.

საქართველოში: დაშვებულია 208.371 ვარიანტი. 13-93, 12-1.165, 11-6.679.

მე-4 ტირაჟის მოგებები გაიცემა 1990 წლის 17 თებერვლიდან 17 მარტის ჩათვლით.

# იუგოსლავიის საუკეთესო კალათბურთელები

**იუგოსლავიის** 1989 წლის საუკეთესო კალათბურთელად დაასახელეს სპლიტის „იუგოპლასტიკას“ ცენტრალური თავდამსხმელი დინო რაჯა. მეორე ადგილზე გავიდა ბელგრადის „პარტიზანის“ თავდამსხმელი ჟარკო პასპალი. მესამეზეა ამავე კლუბის ცენტრალური თავდამსხმელი ვლადო დივაჩი, „იუგოპლასტიკის“ თავდამსხმელი ტონი კუკოჩი მეოთხეა. უძლიერესთა ხუთეულში შევიდა ლიუბლიანის „ოლიმპიას“ მცველი იურე ზდოვჩი. აქვე ვიტყვით, რომ სახელმოხვეჭილი დრაჟენ პეტროვიჩი კონკურსში არ მონაწილეობდა, რადგან საზღვარგარეთის გუნდის, მადრიდის „რეალის“ შემადგენლობაში გამოდიოდა.

როგორც ხედავთ, გამოკითხვაში წარმატებას მიაღწიეს „იუგოპლასტიკასა“ და „პარტიზანის“ მოთამაშეებმა. აქ, ცხადია, შემთხვევითი არაფერია და ეს განაპირობა ჩემპიონთა თასზე „იუგოპლასტიკის“ და კორაჩის თასზე კი „პარტიზანის“ ბრწყინვალე გამარჯვებამ.

იუგოსლავიის უძლიერესი კალათბურთელი დინო რაჯა დაიბადა 1967 წელს. მისი სიმაღლეა 210 სმ. „იუგოპლასტიკის“ შემადგენლობაში მან ორჯერ მოიპოვა იუგოსლავიის ჩემპიონის წოდება. ფლობდა იუგოსლავიის თასს. ნაკრებში მისი დებიუტი შედგა 1987 წელს. არის ევროპის ჩემპიონი, ოლიმპიური თამაშების ვერცხლის პრიზიორი, მსოფლიოს ჩემპიონი 1987 წელს ახალგაზრდებს შორის. არსებითად ეს იყო პირველი დიდი ტურნირი, სადაც მკაფიოდ გამოვლინდა მისი პოტენციური შესაძლებლობები.

ჟარკო პასპალის მეორე ადგილი, რა თქმა უნდა, მოულოდნელი არ ყოფილა. ეს აიხსნება მისი ბრწყინვალე თამაშით როგორც რ. კორაჩის თასზე, ისე ზაგრებში ევროპის ჩემპიონატის მატჩებში. იგივე შეიძლება ითქვას ვლადო დივაჩისა და ტონი კუკოჩის შესახებ. რ. კორაჩის თასზე „პარტიზანის“ წარმატებაში დიდი წვლილი სწორედ პასპალს და დივაჩს მიუძღვით.

ხუთეულში იურე ზდოვჩის დასახელება სავსებით კანონზომიერი უნდა იყოს. ალექსანდრე ჯორჯევიჩისა და ველიმირ ობრადოვიჩის არმიაში გაწვევის შემდეგ ნაკრებს გამთამაშებლის პრობლემა შეექმნა. ეს საპასუხისმგებლო პოსტი მწვრთნელებმა სწორედ იურე ზდოვჩს ანდეს, რომელმაც პირნათლად გაართვა თავი ამოცანას.

სეზონის საუკეთესო მოთამაშედ იუგოსლავიის ნაკრების უფროსმა მწვრთნელმა დუშან ივკოვიჩმა შემდეგი კალათბურთელები დაასახელა: 1. დრაჟენ პეტროვიჩი („რეალი“), 2. დინო რაჯა („იუგოპლასტიკა“), 3-5. ვლადო დივაჩი („პარტიზანი“), ტონი კუკოჩი („იუგოპლასტიკა“), ჟარკო პასპალი („პარტიზანი“), 6. ზორან ჩუტურა („ციბონა“), 7. იურე ზდოვჩი („ოლიმპია“), 8. პრედრაგ დანილოვიჩი („პარტიზანი“), 9. სტოიან ვრანკოვიჩი („ზადარი“), 10. ზორან რადოვიჩი („ცრვენა ზვეზდა“), 11. ზდრავკო რადულოვიჩი, 12. მარიო პრიმორაცი (ორივე „ბოსნა“).

**მერაბ კალანდაძე.**

### ესპანური ჟურნალის აზრით

**ესპანურმა** ჟურნალმა „დონ ბასკეტმა“ ჩაატარა გამოკითხვა, რომელმაც დაასახელა ევროპის 1989 წლის საუკეთესო კალათბურთელი. კონკურსში წარმატება ერგო იუგოსლავიის ნაკრების და სპლიტის „იუგოპლასტიკის“ 22 წლის თავდამსხმელს ტონი კუკოჩს.

# ...და ბლიცშიც [illegible]

[illegible]. გაიმართა პროფკავშირთა სპორტსაზოგადოების საკავშირო პირველობა საერთაშორისო შაშში 18 წლამდე ასაკის გოგონათა შორის.

ჩვენი რესპუბლიკის ღირსებას იცავდა საქართველოს ჩემპიონი, 13 წლის მადონა შალამბერიძე და თბილისის ჩემპიონი, 11 წლის დიანა ავადია.

ტურნირი, რომელშიც 28 უძლიერესი გოგონა მონაწილეობდა, შვეიცარიული სისტემით, 9 ტურად ჩატარდა.

შალამბერიძემ (მწვრთნელი თ. რეხვიაშვილი) 6,5 ქულით II-V ადგილები გაიყო. იგი გამარჯვებულს, ზაპოროჟიელ ნ. მამედოვას ნახევარი ქულით ჩამორჩა. ავადიამ (მწვრთნელი ჯ. ბერიშვილი) კი, რომელიც პირველად მონაწილეობდა ასეთი რანგის პირველობაში, 5 ქულით VII ადგილი დაიკავა.

იქვე ჩატარდა პროფკავშირთა I ოფიციალური საკავშირო პირველობა ელვისებურ თამაშში. აქ მადონა შალამბერიძემ ტოლი არავის დაუდო და დამაჯერებლად დაიკავა I ადგილი. საინტერესოა, რომ მან ფინალში ყველა მეტოქე დაამარცხა.

**სერგო თომაშვილი,**
**თბილისის შაშის ფედერაციის თავმჯდომარე.**

# „მერანი“ № 3

**გამოვიდა** გაზეთ „ლელოს“ საჭადრაკო დამატება „მერანის“ მორიგი ნომერი. I გვერდზე გამოქვეყნებულია მეტად სასიხარულო ცნობა. — ქართველი მოჭადრაკე პირველად მოხვდა „მაღალ საზოგადოებაში“ — დიდოსტატმა ზურაბ აზმაიფარაშვილმა 2600-იან ზღვარს გადააბიჯა, მოაგროვა 2610 ქულა და რეიტინგ-ლისტში XVI-XIX ადგილებს იყოფს. ეს დიდი მიღწევაა და ვუსურვოთ ქართველ დიდოსტატს კიდევ უფრო გააუმჯობესოს თავისი მაჩვენებელი.

როგორც „ლელოს“ მკითხველებმა იციან, ამას წინათ კალინინგრადსა და ჰასტინგსში დიდ წარმატებას მიაღწიეს ნინო ხურციძემ, ნატო ეძგვერაძემ, ნათია ჯანჯღავამ და ლაშა ჯანჯღავამ. გოგოებმა ახალგაზრდათა საკავშირო პირველობაში ისახელეს თავი, ჯანჯღავამ კი ჰასტინგსის ტრადიციულ ტურნირში I ადგილი მოიპოვა. სწორედ ამ შეჯიბრებებს ეძღვნება დამატების II და III გვერდები.

ამავე ნომერში მკითხველი გაეცნობა გრონინგენის (ჰოლანდია) ტურნირის პერიპეტიებს, რომელშიც მონაწილეობდნენ ზურაბ აზმაიფარაშვილი და ახალგაზრდა თბილისელი ოსტატობის კანდიდატი სანდრო დგებუაძე.

### ინფორმაცია

**ბათუმი,** 2 თებერვალი (დეპეშით, „ლელოს“ სპეც. კორ.). აქ მიმდინარე რესპუბლიკის მოჭადრაკე ვაჟთა ჩემპიონატის შესარჩევ ასპარეზობაზე გათამაშდა 5 ტური. 4,5-4,5 ქულით შეჯიბრებას ლიდერობენ ნიკოლოზ ლეკვეიშვილი, შოთა კუპუხიძე, თემურ გათიკოევი და ისააკ მანაშეროვი. შეგახსენებთ, 4 უძლიერესი მოჭადრაკე I ლიგაში ასპარეზობის უფლებას მოიპოვებს.

**რედაქტორის მოადგილე**
**უ. ჭიჭინაძე**

საქართველოს სპორტსახკომი, პროფკავშირების სპორტსაზოგადოება „შევარდენი“ თანაგრძნობას უცხადებენ ქუთაისის მორაგბეთა გუნდის „აიას“ მთავარ მწვრთნელს დუგლას კავთელაშვილს

**მამის**

გარდაცვალების გამო.

**ჩვენი მისამართი:**
**წერილებისთვის — 380096, თბილისი, ლენინის ქ. 14, დეპეშებისთვის — თბილისი, „ლელო“.**

**რედაქციის ტელეფონები:**
**წერილების განყოფილება — 93-97-55,**
**სამდივნო — 93-97-52,**
**ინფორმაციის განყოფილება — 93-97-53,**
**„მერანი“ — 93-97-26, „მართვე“ — 93-97-27.**

**ჩვენი ინდექსი 66435**

**საქართველოს კპ ცკ-ის გამომცემლობის შრომის წითელი დროშის ორდენოსანი სტამბა. 380096, თბილისი, ლენინის ქ. 14. იბეჭდება ოფსეტური წესით საგაზეთო კორპუსში: ხოშარაულის, 29.**

**1 2 3 4 5 6 7 8 9 10 11 12 13 14 15 16 17 18 19 20** უე 08709